



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

21 მაისი, 2021

თბილისი  
2021

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0313
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლილი ხეჩუაშვილი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ფირცხალავა - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ გვამაბია - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

სარჩევი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა ..... 4

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ..... 6

    1.1. პროგრამის მიზნები..... 6

    1.2. პროგრამის სწავლის შედეგები ..... 7

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 9

    2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები..... 9

    2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ..... 10

    2.3. სასწავლო კურსი ..... 11

    2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება..... 12

    2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები..... 13

    2.6. სტუდენტების შეფასება..... 14

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ..... 16

    3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება ..... 16

    3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა ..... 17

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ..... 18

    4.1. ადამიანური რესურსი ..... 18

    4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება ..... 20

    4.3. მატერიალური რესურსი..... 21

    4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა... 23

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები..... 24

    5.1. შიდა ხარისხის შეფასება..... 24

    5.2. გარე ხარისხის შეფასება..... 25

    5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ..... 25

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა..... 27

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა მიმართულია თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, საფეხურის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების მქონე ისეთი კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც შეძლებენ ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, პრაქტიკულ საქმიანობაში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებასა და კარიერულ წინსვლას. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტის ფარგლებში (8 სემესტრი) ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადების შესაძლებლობას იძლევა, რომელიც ფლობს თანამედროვე ცოდნას და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამის კვლევით და პრაქტიკულ უნარებს აღნიშნული მახასიათებლით პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოდის უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს, 8 სემესტრს და აგებულია შემდეგი კომპონენტებით: (ა) საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები (25 კრედიტი), (ბ) ინგლისური ენის კურსები (30 კრედიტი, აქედან 20 კრედიტი ზოგადი ინგლისური ენის კურსები, ხოლო უცხოენოვანი სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია იმავე მოცულობის ქართული ენის სავალდებულო კურსები და 10 კრედიტი პროფესიული ინგლისური ენის კურსები); (გ) ძირითადი სასწავლო კურსები (120 კრედიტი, მათ შორის, 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომისთვის) და (დ) არჩევითი პროფესიული სასწავლო კურსები (65 კრედიტი, მათ შორის, სტუდენტებს ეძლევათ მეორე უცხო ენის – იტალიურის, სპარსულის ან თურქულის – არჩევანის საშუალება). ამასთან, შემოთავაზებულია სამი კონცენტრაციის მოდული (30 კრედიტის მოცულობით): კლინიკური ფსიქოლოგია, ადამიანური რესურსების მართვის ფსიქოლოგია და გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია.

აღნიშნული სტრუქტურა, როგორც მასში შემავალი კომპონენტების, ისე კურსებისა და კრედიტების გადანაწილების თვალსაზრისით, პრაქტიკულად შეესაბამება და აკმაყოფილებს მინისტრის ბრძანების (N69/ნ) მოთხოვნებს.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ქვეყანაში კორონავირუსის გამო გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ „ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის“ შეფასება 2021 წლის 2 აპრილს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების, კერძოდ, Zoom-ის პროგრამის გამოყენებით განხორციელდა.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები, წინასწარ შემუშავებული და დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესატყვისად, გაესაუბრნენ უნივერსიტეტის პერსონალს: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, საბაკალავრო საფეხურის ქართულენოვანი ანალოგიური პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ბიბლიოთეკარსა და პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა, ბიბლიოთეკარის დახმარებით, ნახა, როგორ მუშაობს უსდ-ის ელექტრონული ბიბლიოთეკა.

აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები დროულად, შეფერხებების გარეშე გაიმართა. ექსპერტთა

ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

„ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა“ ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით ჩამოთვლილ მოთხოვნებს და სრულ შესაბამისობაშია I, II, III და V სტანდარტთან, ხოლო მეტწილ შესაბამისობაში – IV სტანდარტთან.

▪ **რეკომენდაციები**

- პროგრამაში ჩართული ფსიქოლოგიის კვალიფიკაციის მქონე აკადემიური (აფილირებული) პერსონალის რაოდენობის გაზრდა;
- პროგრამის განხორციელებაში ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მეტი სპეციალისტის ჩართვა
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომეპტენციის მეტად შესაბამისობაში მოყვანა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, პროგრამაში შესასრულებელ ფუნქციებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან.

**პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან**

**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

**1.1. პროგრამის მიზნები**

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უსდ-ის მისიასთან სრული თავსებადობის პირობებში, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს და ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარს მიაწოდოს ფსიქოლოგიის სფეროში მაღალკვალიფიცირებული და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები (ბაკალავრები), რომლებსაც ექნებათ ფსიქოლოგიის სფეროში წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარები.

პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაეცნონ ფსიქოლოგიის დარგების ძირითად დისციპლინებსა და მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების შესახებ საბაზო თეორიულ ცოდნას და გამოიმუშაონ შესაბამისი პრაქტიკული და კვლევითი უნარ-ჩვევები, ჩამოიყალიბონ პროფესიული საქმიანობისას ეთიკის ნორმების დაცვის, ღირებულებების ფორმირებაში მონაწილეობასა და მათ დამკვიდრებაში მონაწილეობისთვის საჭირო პასუხისმგებლობა.

კურსდამთავრებულებს პრაქტიკული საქმიანობის ფართო არჩევანი აქვთ, მათი სამუშაო ადგილი, რომლისთვისაც დამაკმაყოფილებელი იქნება ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, შეიძლება იყოს სხვადასხვა საჯარო და კერძო სექტორის ისეთი სფეროები, რომელიც კლინიკური ფსიქოლოგიის, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიისა და ადამიანური რესურსების მართვის პროფილით მუშაობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა, როგორც პროგრამის განმახორციელებლებმა არაერთგზის აღნიშნეს ვიზიტის მსვლელობისას, უცხოელი სტუდენტებისთვის (ადგილობრივების გარდა) არის განკუთვნილი, შესაბამისად, მათი დასაქმების საკითხი ნაკლებად აქტუალური იქნება უსდ-სთვის. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციაში ძირითადი აქცენტი პროგრამის ფარგლებში გამოსამუშავებელ კომპეტენციებსა და შემდგომი სწავლისა და კვლევის მიმართულებით განვითარების პოტენციალზე კეთდება.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მოცემული ქვესტანდარტის მოთხოვნებს წარმოდგენილი პროგრამა აკმაყოფილებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კავკასიის უნივერსიტეტის დებულება;
- კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დებულება;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b>
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<b>1.2. პროგრამის სწავლის შედეგები</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;</li> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;</li> <li>➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</li> </ul>
<b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b>
<p>ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და პასუხისმგებლობას, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. აღწერილი სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, კერძოდ, ფსიქოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციას. სწავლის შედეგები და მიზნები ერთმანეთს შეესაბამება.</p> <p>ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, აღწერილი სწავლის შედეგების მიხედვით, სტუდენტი შეძლებს, ფსიქოლოგიის, როგორც სოციალური მეცნიერების, შესწავლის საგნისა და ისტორიული წანამდღვრების აღწერას; განასხვავებს ფსიქოლოგიის სფეროს ქცევით, ბიოლოგიურ კოგნიტურ, ჰუმანისტურ, ფსიქოდინამიკურ და სოციოკულტურულ პერსპექტივებს; სისტემურად ეცოდინება ფსიქოლოგიის ცალკეული მიმართულებებისა და გამოყენებითი სფეროების როგორცაა, ქცევის ბიოლოგიური საფუძვლები, კლინიკური ფსიქოლოგია, კონსულტირება, სოციალური და კულტურული, ორგანიზაციული და ადამიანური რესურსების შესახებ და შეძლებს შეამოწმოს და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიყენოს ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულების, მათ შორის, კლინიკურის, სოციალურის და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის კვლევის შედეგები. გარდა ამისა, კურსდამთავრებული შეძლებს ფსიქოლოგიის სფეროში კვლევის სტრუქტურისა და ეტაპების აღწერასა და პრაქტიკულად განხორციელებას.; მონაცემთა რაოდენობრივი დამუშავება აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის გამოყენებით; შეძლებს სათანადო ინფორმაციის მოძიებასა და გაანალიზებას წარმოჭრილი ამოცანის ან პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრისათვის, ახლებური გზების მოძიებასა და კვლევების ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას. ამასთან, კურსდამთავრებულს შეუძლია პროფესიული საკითხების შესახებ წერილობითი და ზეპირი მსჯელობა და კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე. და ბოლოს, კურსდამთავრებული ავლენს კულტურული მარავლფეროვნების მიმართ ტოლერანტობას, აცნობიერებს ყოველდღიური პრობლემების ფსიქოლოგიურ მრავალშრიანობასა და განუსაზღვრელობას და საკუთარი საქმიანობის წარმართვას ეთიკის ნორმებისა და ზოგადადამიანური ღირებულებების გათვალისწინებით.</p> <p>წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების რუკის საფუძველზე შესაძლებელი ხდება პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ურთიერთშედარება.</p> <p>ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და</p>



რეალისტური. შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების გზას. კერძოდ, თითოეული საგნის სილაბუსში გაწერილი შეფასების ფორმებით და კრიტერიუმებით, რომლებიც მოიცავს სასემინარო აქტივობის ზეპირ და წერით შეფასებას, შუალედურ და საბოლოო გამოცდასა, შემთხვევების ანალიზსა და პრეზენტაციას. პრეზენტაცია კომპლექსურად აფასებს კურსის ბოლოს სტუდენტის მიერ კურსის განმავლობაში შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნისა და საკომუნიკაციო უნარებს.

როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან და ინტერვიუებიდან გაირკვა, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩაერთო ყველა პროგრამით დაინტერესებული პირი: აკადემიური, მოწვეული პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლები. ვინაიდან, პროგრამა ახალია, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობაზე საუბარი შეუძლებელია.

ვინაიდან პროგრამა ახალია, წინასწარ შეუძლებელია იმაზე მსჯელობა, თუ რამდენად მიიღებენ პროგრამით დაინტერესებული პირები სწავლის შედეგების გაცნობის ღონისძიებებში მონაწილეობას, ასევე, რთულია იმაზე მსჯელობა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს თუ არა მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის, თუმცა ვიზიტის მსვლელობისას ჩატარებული ინტერვიუებიდან კარგად იკვეთება, რომ ისინი უკვე სათანადოდ იცნობენ შედეგების შეფასების მექანიზმს. საერთო საფაკულტეტო საგნის წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტი აქტიურად ზრუნავს პროგრამის განმახორციელებლების ამ კუთხით დროულად ინფორმირებასა და განვითარებაზე.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
  - საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
  - პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან



საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
---	---	--	--	--

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

**2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ფსიქოლოგიის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების მქონე პირები, რომლებიც (ა) აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, რომელზეც უცხო ენად მოითხოვება ინგლისური ენის ჩაბარება; ან (ბ) უფლებამოსილი არიან, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩაირიცხონ წარმოდგენილ პროგრამაზე და ადასტურებენ ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე (IELTS – 6.0; TOEFL – 78; B2 დონის სხვა რელევანტური საერთაშორისო სერტიფიკატი) ან აბარებენ უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებულ B2 დონის შესაბამის გამოცდას; (გ) გარდა ამისა, პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით უსდ სისტემატურად ატარებს შეხვედრებს აბიტურიენტებთან მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამ შეხვედრებზე პოტენციურ აპლიკანტებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია მიმდინარე საბაკალავრო პროგრამების შესახებ (გარდა ზეპირი კომუნიკაციის და მათ ასევე ურიგდებათ შესაბამისი საინფორმაციო ბუკლეტები). აღნიშნული ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია ვებგვერდზე, რომელიც დაინტერესებულ პირს სრულ ინფორმაციას აწვდის არსებული პროგრამების, მათი ღირებულების, დასაქმების და სწავლის გაგრძელების პერსპექტივების, უსდ-ის მოცემული სკოლის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ და ა.შ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ვიზიტის მსვლელობისას ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ მოცემული ინგლისურენოვანი პროგრამა „გათვლილია ქართველების გარდა უცხოელი სტუდენტების მოზიდვაზე,“ (თვითშეფასების ანგარიში, N2.1, გვ.16) პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტიც ჩართულია; თუმცა ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუებში ძირითადი აქცენტი უცხოენოვან სტუდენტებზე გაკეთდა (და ითქვა, რომ ეს სეგმენტია ამ პროგრამის ძირითადი სამიზნე) და არა - ადგილობრივ ქართველ სტუდენტებზე, როგორც თვითშეფასებაშია აღნიშნული.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- უსდ-ის ვებგვერდი;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის

ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუები.
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b>
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია კავკასიის უნივერსიტეტის პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიისა და კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მისიის შესაბამისად. შეესაბამება უნივერსიტეტის სტანდარტსა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს, 8 სემესტრს.

240 კრედიტიანი პროგრამა აგებულია შემდეგი კომპონენტებით: (ა) საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები (25 კრედიტი), (ბ) ინგლისური ენის კურსები (30 კრედიტი, აქედან 20 კრედიტი ზოგადი ინგლისური ენის კურსები, ხოლო უცხოენოვანი სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია იმავე მოცულობის ქართული ენის სავალდებულო კურსები და 10 კრედიტი პროფესიული ინგლისური ენის კურსები); (გ) ძირითადი სასწავლო კურსები (120 კრედიტი, მათ შორის, 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომისთვის) და (დ) არჩევითი პროფესიული სასწავლო კურსები (65 კრედიტი, მათ შორი, სტუდენტებს ეძლევათ მეორე უცხო ენის – იტალიურის, სპარსულის ან თურქულის – არჩევანის საშუალება).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ პროგრამაში შემოთავაზებულია სამი კონცენტრაციის მოდული (30 კრედიტის მოცულობით): კლინიკური ფსიქოლოგია, ადამიანური რესურსების მართვის ფსიქოლოგია და გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია.

აღნიშნული სტრუქტურა, როგორც მასში შემავალი კომპონენტების, ისე კურსებისა და კრედიტების გადანაწილების თვალსაზრისით, შეესაბამება და აკმაყოფილებს მინისტრის ბრძანების (N69/ნ) მოთხოვნებს.

წინაპირობების არსებობა წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის პროგრამის აღწერიდან, რომელიც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. თითოეული კურსისთვის მოთხოვნილი წინაპირობები მითითებულია შესაბამისი კურსის სილაბუსში, რომელიც განთავსებულია უსდ-ის შიდა მოხმარების ელექტრონულ სისტემაში. სისტემავე უზრუნველყოფს კურსების არჩევითობის შეზღუდვას

წინაპირობების გათვალისწინებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- უსდ-ის ვებგვერდი;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- ფსიქოლოგიის საბალაკავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.3. სასწავლო კურსი**

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, ფაქტობრივად, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებსა და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან და შესაბამის საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არსებობს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც დეტალურად აღწერს, პროგრამის რომელ სწავლის შედეგ(ებ)ზე გადის ესა თუ ის მოდული და თითოეულ მოდულში შემავალი ცალკეული კურსი.

თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას გათვალისწინებულია კურსის შინაარსი, კურსის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა და შინაარსი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები დამაკმაყოფილებლად აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს.

კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები და ლიტერატურა. კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონული ბაზებზე ხელმისაწვდომობას.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
  - პროგრამაში შემაჯავლი კურსების სილაბუსები;
  - ბიბლიოთეკის ონლაინ დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
  - უნივერსიტეტის ვებგვერდი;
  - პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და ხელმძღვანელებთან ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**
- ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ინგლისურენოვანია, აკადემიური/მოწვეული პერსონალი არ იყო შეზღუდული ქართულენოვანი ლიტერატურის მიწოდების სავალდებულო მოთხოვნით. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის საკითხავად შეთავაზებული ლიტერატურა (ძირითადი და დამხმარე) უახლეს პუბლიკაციებსა და განახლებულ მასალებს მოიცავს, რაც ნამდვილად გამორჩეულ და საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს და პრიორიტეტულს ხდის წარმოდგენილ პროგრამას ბაზარზე უკვე არსებულ პროგრამებს შორის.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ის პუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სკოლას, რომლის ბაზაზეც განხორციელდება წარმოდგენილი პროგრამა, დეკლარირებული აქვს თავის საქმიანობაში აკადემიური სწავლებისა და კვლევის განუყოფლობის პრინციპი.

პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის **კვლევითი უნარების** განვითარებას ისეთი კურსების

ფარგლებში, როგორცაც კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში (1 და 2), სტატისტიკური მეთოდებისა და კვლევის მონაცემთა დამუშავება SPSS-ით (ორსემესტრიანი კურსი) და საბაკალავრო ნაშრომი. კონკრეტული კვლევის ფარგლებში თითოეულ სტუდენტს უწევს შესაბამისი კვლევის დაგეგმვა, მონაცემთა შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და ინტერპრეტაცია და კვლევითი ანგარიშის დაწერა შესაბამისი კურსების სწავლების სემესტრსა და სწავლების მერვე სემესტრში, როდესაც სტუდენტები მუშაობენ საბაკალავრო ნაშრომზე. ყველა ამ კვლევით კომპონენტში სტუდენტებს სუპერვიზიას/ხელმძღვანელობას უწევენ ფსიქოლოგიის დარგში წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც პროგრამასა და თითოეული კურსის სილაბუსში განსაზღვრული წესით აფასებენ სტუდენტების კვლევითი საქმიანობას. ამასთან, პროგრამის ფარგლებში მთლიანობაში აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ბაზისური კვლევითი უნარების გამომუშავების შედეგზე ორიენტირებულია 35 ECTS მოცულობის კურსები, რაც ჯამში (დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჩათვლით) 875 საათს შეადგენს.

**პრაქტიკის კომპონენტი** გათვალისწინებულია პროგრამაში შემავალი ფართო სპექტრის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სახით, რომლებიც შეთავაზებულია კლინიკური ფსიქოლოგიის, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიისა და ადამიანური რესურსების მართვის ფსიქოლოგიის კონცენტრაციების ფარგლებში.

საბაკალავრო ნაშრომს სტუდენტი საკუთარი ინტერესებისა და პროგრამის პედაგოგების მიერ შეთავაზებული ქვეყნისთვის აქტუალური საკვლევი თემების შეჯერების საფუძველზე ირჩევს. ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) სტუდენტი პედაგოგის საქმიანობის სფეროს საკუთარ კვლევის ინტერესთან შესაბამისობისა და საკუთარი ინტერესების მიხედვით ირჩევს.

თითოეული სტუდენტი თავის ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს), საბაკალავრო ნაშრომის მომზადების პროცესში, ხვდება რეგულარულად, რათა სტუდენტს ჰქონდეს კვლევის დინამიკაზე ანგარიშგების შესაძლებლობა, ხოლო პედაგოგს – სათანადო კონსულტირების საშუალება.

რაც შეეხება **ტრანსფერულ უნარებს**, პროგრამაში შემავალ პრაქტიკულად ყველა კურსს, საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით, თავისი წვლილი შეაქვს მათ განვითარებაში.

<b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• საბაკალავრო პროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები;</li> <li>• პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუები.</li> </ul>

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)**

<b>შეფასება</b>
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p><b>2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები</b></p> <p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
--



**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სწავლება ხორციელდება ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მუშაობის ფორმატში ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ავსებს ერთმანეთს და სტუდენტი/ლექტორი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევამდე მიჰყავს, კერძოდ, პროგრამაში შემავალ კურსებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, როგორებიცაა ანალიზი, ახსნა-განმარტებითი, გონებრივი იერიში და დისკუსია/დებატები, დედუქციური და ინდუქციური მეთოდები, ჯგუფური და თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევების ანალიზი და პრაქტიკული სამუშაო, როლური თამაშები, წიგნზე მუშაობა და ჯგუფური მუშაობა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ ეტაპზე შეუძლებელია გამოყენებული მეთოდების ეფექტურობისა და უკუკავშირის შესახებ მსჯელობა, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია და ჯერ სტუდენტი/კურსდამთავრებული არ ჰყოლია, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის მსვლელობისას განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაში მართებულად არის შერჩეული მეთოდები, ცალკეული კურსებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანამანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საგანამანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესი;
- კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში მოწვეული სპიკერებისა თუ სასწავლო კურსების ფარგლებში განხორციელებული გასვლითი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია: <https://www.cu.edu.ge/ka/schoolss/csh/csh-news>
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.6. სტუდენტების შეფასება**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო კურსებში სტუდენტთა აქტიური ჩართულობაა გათვალისწინებული, რაც მიღებული ცოდნის მუდმივი შეფასების პროცესის თანხლებით მიმდინარეობს.

თითოეული კურსის ფარგლებში სტუდენტის შეფასება მრავალკომპონენტანია და ისეთ ძირითად პრინციპებს ეყრდნობა, როგორიცაა ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალეობა. უფრო კონკრეტულად, სტუდენტის შეფასება მოიცავს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას,

რაც სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვასა და მათთან მიმართებაში უკუკავშირსაც უზრუნველყოფს.

სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება გულისხმობს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, ხოლო თითოეული კურსის დასასრულს სტუდენტს კრედიტის საბოლოო შეფასების საფუძველზე, შუალედური და დასკვნითი შეფასებების შედეგების შეკრებით იღებს. თითოეული შეფასებისთვის განსაზღვრულია ჯამური (100) ქულიდან საბოლოო შეფასებაში თითოეული კომპონენტის ხვედრითი წილი და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, 70 და 30 ქულა, შესაბამისად.

თითოეული კომპონენტის შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, მკაფიოდ აღწერილ კრიტერიუმებსა და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების რუბრიკებს. სასწავლო კურსებში სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის 59% მაინც, რათა მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან 30 ქულიდან 60% მაინც დააგროვა..

თუ ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს, სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება ზეპირი და წერიტი გამოკითხვა. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. სასწავლო პროცესის დაწყების წინ სილაბუსი იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში. სტუდენტს მთელი სემესტრის მანძილზე აქვს საშუალება, თვალი ადევნოს თავის მიმდინარე შეფასებებს და ონლაინ კონტაქტი იქონიოს ლექტორთან.

უნდა აღინიშნოს, რომ საგამოცდო პროცედურებს აგვარებს და ზედამხედველობას უწევს უნივერსიტეტის მონიტორინგის სამსახური. სტუდენტების მიერ შესრულებული ყველა ნაშრომი ანონიმურია და ლექტორს დაშიფრული კოდით გადაეცემა. აღნიშნული პროცესები „გამოცდების ჩატარების შესახებ“ დებულებით რეგულირდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები;
- გამოცდების ჩატარების შესახებ დებულება;
- ვებგვერდი;
- პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

<b>სტანდარტი</b>	<b>შესაბამისობაშია</b>	<b>მეტწილად</b>	<b>ნაწილობრივ</b>	<b>არ არის</b>
------------------	------------------------	-----------------	-------------------	----------------



	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

#### 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, სწავლების პროცესთან დაკავშირებით, ადმინისტრაციისგან თუ პერსონალისგან სათანადო კონსულტაცია მიიღონ. ზოგადად უსდ-ში ყველა პირველკურსელს უტარდება საორიენტაციო ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებლობა აქვთ, უკეთ გაეცნონ პროგრამასა და უნივერსიტეტში არსებულ სერვისებს.

უსდ-ში მოქმედებს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური, რომლის დახმარებითაც სტუდენტებს შეუძლიათ სწავლის პროცესთან დაკავშირებით სათანადო კონსულტაცია მიიღონ.

ასევე, უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების დასაქმებას, მათთვის კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. როგორც ინტერვიუს საფუძველზე გაირკვა, სტუდენტებს, მეილებისა და ელექტრონული ბაზის საშუალებით, სხვადასხვა ვაკანსიაზე მიეწოდებათ ინფორმაცია. ასევე, აღნიშნული სერვისი ყოველწლიურად ატარებს დასაქმების ფორუმებს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს სხვადასხვა კომპანიის დამსაქმებლებთან შეხვედრა და მათგან კონსულტაციის მიღება შეუძლიათ.

ფსიქოლოგიის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე ჩაბარების შემთხვევაში სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ გაცვლითი პროგრამებით, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროექტებში, ისარგებლონ Erasmus + - ით. უკვე არსებული ფსიქოლოგიის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს მსვლელობისას გაირკვა, რომ მათ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტების, გაცვლითი პროგრამების შესახებ მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია. რამდენიმე მათგანს ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის მიღების გამოცდილებაც ჰქონდა.

სტუდენტები სწავლის პროცესზე, საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებზე, კონფერენციებზე ინფორმაციას კავკასიის უნივერსიტეტის ვებ-საიტის <https://www.cu.edu.ge>, კორპორატიული მეილებისა და ელექტრონული ბაზის მეშვეობით იღებენ. გარდა ამისა, მათ აქტიური კომუნიკაცია აქვთ უნივერსიტეტის

ადმინისტრაციასთან და არსებულ საბაკალავრო პროგრამაში ჩართულ პირებთან. საჭიროების შემთხვევაში იღებენ დამატებით კონსულტაციას. საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია თითოეული საგნის სილაბუსში, შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით სტუდენტები ამ გზითაც ინფორმირებულნი არიან.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დებულება;
  - უცხოეთის უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმები;
  - უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://www.cu.edu.ge>;
  - ინფორმაცია საერთაშორისო თანამშრომლობით მიმდინარე პროექტების შესახებ;
  - სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)**

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
-----------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
---	---	--	--	--

#### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

##### 4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

##### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილ ფსიქოლოგიის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას განახორციელებს სულ 35 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც, თვითშეფასების ანგარიშში მოცემული ინფორმაციის თანახმად, უდასტურდებათ შესაბამის სფეროში საქმიანობის მდიდარი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება და, ამასთან, შესაბამის სფეროში დოქტორის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

თვითშეფასების ანგარიშში, ასევე, აღნიშნულია და ეს დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც, რომ 35 აკადემიური პერსონალიდან 27 არის მოწვეული ლექტორი პარტნიორი უნივერსიტეტებიდან (და მათ პროგრამის შესაბამისი სასწავლო სტანდარტების, სახელმძღვანელოების, თუ სხვადასხვა სასწავლო რესურსების შემუშავებისა და დანერგვის, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით განხორციელებული სამეცნიერო პროექტებში აქტიური მონაწილეობის მდიდარი გამოცდილება და პრაქტიკა გააჩნიათ) და 8 არის უსდ-ის აკადემიური პერსონალი. მათ შორის, 2 პროფესორი (1 აფილირებული), 3 ასოცირებული პროფესორი (აქედან 2 აფილირებული) და 3 ასისტენტ პროფესორი (სამივე აფილირებული).

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით, ისე ვიზიტის მსვლელობისას ჩატარებული ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით იკვეთება რამდენიმე საკითხი, რომელიც, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, გამოწვევას წარმოადგენს წარმოდგენილი პროგრამისთვის.

1. **აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა.** როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ისე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები ცხადყოფს, რომ პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალის დიდი ნაწილი მოწვეულია. შესაბამისად,

აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა (8/27) პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისით, საყურადღებოა. ამასთან, ფსიქოლოგიის პროგრამისთვის ისეთი საბაზისო კურსები, როგორცაა ფსიქოლოგიის საფუძვლები და კოგნიტური ფსიქოლოგია, მოწვეულმა პერსონალმა უნდა წაიკითხოს. აღნიშნული ისევ და ისევ პროგრამის მდგრადობის საკითხზე დაფიქრების საფუძველს ქმნის. თუმცა აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში (იხ. ქვესტანდარტი 1.2) პროგრამის ერთ-ერთ გასაუმჯობესებელ მხარედ პროგრამაში ჩართული აფილირებული აკადემიური პერსონალის გაზრდა და სახელეუბლო და დაგეგმილიც არის აკადემიური კონკურსის გამოცხადება პროგრამის აკადემიური გუნდის გაძლიერების მიზნით.

2. **ფსიქოლოგიის მიმართულებით მცირე რაოდენობის აკადემიური პერსონალი.** უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული 8 აკადემიური პერსონალიდან მხოლოდ სამია (2 დოქტორი და 1 დოქტორანტი) ფსიქოლოგიის მიმართულებით, რაც, პროგრამის განხორციელების ძირითად პასუხისმგებლობას მოწვეულ პერსონალს აკისრებს და, ასევე, პროგრამის მდგრადობის საკითხს აყენებს (ან დააყენებს სამომავლოდ).
3. **განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია.** ფსიქოლოგიის პროგრამის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში ჩართულ ძირითად წამყვან აკადემიურ პერსონალს ფსიქოლოგიის კვალიფიკაცია ჰქონდეს. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით ირკვევა, რომ უშუალოდ ფსიქოლოგიის მიმართულებით პროგრამაში ჩართულია: 6 დოქტორი ფსიქოლოგიაში, 1 დოქტორი განათლების მეცნიერებებში, 1 დოქტორი კომუნიკაციებში, 1 დოქტორი ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში, 6 დოქტორანტი და 5 მაგისტრი (რომელთაგან უმრავლესობა მოწვეული პერსონალია, იხ. წინა პუნქტი). საილუსტრაციოდ შეიძლება ითქვას, რომ ისეთი ბაზისური კურსები, როგორცაა ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 და 2, მაგისტრის ხარისხის მქონე პერსონალმა უნდა წაიყვანოს, ხოლო სოციალური ფსიქოლოგია და განვითარების ფსიქოლოგია – დოქტორანტმა.

დოქტორის აკადემიური ხარისხისა და მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე პერსონალის არსებული თანაფარდობა, შესაძლოა, კანონმდებლობის თვალსაზრისით, არ წარმოადგენს გამოწვევას, თუმცა პროგრამის/დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, საყურადღებოა.

4. **განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციისა და წასაკითხი კურსების ურთიერთშესაბამისობა.** წარმოდგენილი დოკუმენტებითა და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებით მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ზოგიერთი კურსის (მით უმეტეს, სავალდებულო, საბაზისო კურსების) შინაარსი და იმ პერსონალის კვალიფიკაცია, რომელმაც აღნიშნული კურსი უნდა წაიკითხოს, არ შეესაბამება ერთმანეთს. ასე მაგალითად, პიროვნების ფსიქოლოგია (ერთ-ერთი ბაზისური, სავალდებულო დისციპლინა) უნდა წაიყვანოს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, კოგნიტური ფსიქოლოგია 1 და 2 – ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის დოქტორმა.

ამრიგად, წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის თვალსაზრისით, წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუებზე დაყრდნობით, ორი ძირითადი საკითხი იკვეთება: (ა) პროგრამის ძირითადი განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა, რაც პროგრამის მდგრადობის საკითხზე დაფიქრების საფუძველს ქმნის და (ბ) პროგრამის ძირითადი განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციისა და შესასრულებელი სამუშაოს ურთიერთშესაბამისობა, რაც პერსონალის მართებული კვალიფიკაციის საკითხზე დაფიქრების საფუძველს ქმნის.

ცხადია, გასათვალისწინებელია, რომ ინგლისურ ენაზე პროგრამაში შეთავაზებული კურსების წაკითხვის

მოთხოვნა მნიშვნელოვნად ამცირებს იმ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დიაპაზონს, ვინც წარმატებით შეასრულებს აღნიშნულ ამოცანას, თუმცა ინგლისურენოვანი პერსონალის მოზიდვა ვერ იქნება პროგრამის მდგრადობის ან პერსონალის კვალიფიკაციის საპირწონე.

ყოველივე ზემოთ თქმულმა შექმნა ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სია (საგნების ჩამონათვალი);
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია:

- პროგრამაში ჩართული ფსიქოლოგის კვალიფიკაციის მქონე აკადემიური (აფილირებული) პერსონალის რაოდენობის გაზრდა;
- პროგრამაში განხორციელებაში ფსიქოლოგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მეტი სპეციალისტის ჩართვა
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპეტენციის მეტად შესაბამისობაში მოყვანა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, პროგრამაში შესასრულებელ ფუნქციებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება**

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

კავკასიის უნივერსიტეტში ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევითი საქმიანობის ხელის შეწყობის ინსტიტუციონალურ დონეზე დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, ფუნქციონირებს კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი, რომელიც გეგმავს, ახორციელებს და კოორდინაციას უწევს ყველა იმ აქტივობას, რომელიც მიმართულია კავკასიის უნივერსიტეტის სკოლებში კვლევითი საქმიანობის გააქტიურების ინტერნაციონალიზაციის და მასში რაც შეიძლება მეტი აკადემიური პერსონალის, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების ჩართვის ხელშეწყობაზე.

2019 წლის იანვრიდან კავკასიის უნივერსიტეტი საქართველოში ავტორიზებულ უსდ-ებთან და



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ-ებთან ერთად მონაწილეობს Erasmus + -ის ფარგლებში დაფინანსებულ ორწლიან პროექტში „Raising Research Capacity of Georgian HEIs through Developing R&D Units/HERD“, რომლის იმპლემენტაციის ფარგლებში უნივერსიტეტს ექნება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული კვლევითი აქტივობების ანალიზისთვის პროგრამული უზრუნველყოფა.

უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებულია კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი, რომლის თანახმად, წლის განმავლობაში ორჯერ - დეკემბერში და ივნისში ცხადდება პროექტების მიღება კვლევითი საქმიანობისთვის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მოსაპოვებლად.

უნივერსიტეტი ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს ადგილობრივ და საერთაშორისო საგრანტო პროექტების განხორციელებას, უზრუნველყოფს პრაქტიკული კურსების/ტრენინგების დაფინანსებას, პერსონალის ჩართვას საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში და ვორკშოპებში, რაც ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის წვდომას ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საერთაშორისო მობილობის სტატისტიკა;
- მემორანდუმები, შეთანხმებები;
- კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი და პროცედურა, დამტკიცებული კავკასიის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ (2018 წელი).
- უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია საერთაშორისო პროექტების ფარგლებში განხორციელებული შეხვედრების/ღონისძიებების შესახებ: <https://www.cu.edu.ge/ka/news-page>

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.3. მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ვიზიტი ონლაინ რეჟიმში წარიმართა და, შესაბამისად, მატერიალურ რესურსებზე მსჯელობა წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და უსდ-ის წარმომადგენლებთან ინტერვიუების საფუძველზე გახდა შესაძლებელი.

კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, მათ შორის, ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის მომავალი სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.

კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებობს და დაცულია საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული წიგნადი ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის.

სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით: EBSCO HOST, ScienceDirect, Scopus, Sci-val Funding (Funding Institutional), HeinOnline, Taylor and Francis, და Math Scientific Publishing (MSP)-Journals.

კავკასიის უნივერსიტეტმა 2017-2018 სასწავლო წელს საგანმანათლებლო საქმიანობა განაგრძო მის კუთვნილ ახალ შენობაში, რომელიც მდებარეობს თბილისში, მისამართზე პაატა სააკაძის N1. შენობაში არის სასწავლო ფართი, კერძოდ, გამოყოფილია შემდეგი სავალდებულო ფართები: აუდიტორიები, ფოიე, საკონფერენციო დარბაზი, სარეკრეაციო სივრცეები, ადმინისტრაციული სივრცეები და სათავსოები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, არქივი, ორი კაფეტერია. ეს ყოველივე უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. კავკასიის ბიზნესის სკოლას დამატებით აქვს სტარტაპ აქსელერატორისთვის გამოყოფილი ოთხეტი, რომლებიც აღჭურვილია ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიით, როგორცაა VR ტექნოლოგია, სამონტაჟო მოწყობილობები, „Smart board“ და სხვა.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საკუთრებაში მყოფი მატერიალური და ტექნიკური რესურსი. კერძოდ, სტუდენტების და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერები და ინტერნეტი.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

უნივერსიტეტში არსებული ყველა რესურსი: საბიბლიოთეკო რესურსი, მატერიალური რესურსი და საინფორმაციო-საკომუნიკაციო რესურსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკის ონლაინ-დათვალიერება;
- საერთაშორისო საბიბლიოთეკო და აკადემიური ბაზები;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;
- უსდ-ის ვებგვერდი;
- სილაბუსებში დასახელებული ძირითადი ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში არსებობა;
- თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები;
- ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და სისტემის დემონსტრირების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**



<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

**4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სტუდენტებისგან მისაღებ შემოსავალს და სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯს.

პროგრამის ბიუჯეტში თანხობრივად გათვალისწინებულია „უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდი“, რომელიც ემსახურება სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯის დაფარვას.

ბიუჯეტი ეკონომიკურად მიღწევადი და რეალისტურია და ასახავს პროგრამის საჭიროებებს, კერძოდ, შრომით ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რაც, მოიცავს, როგორც აკადემიური და მოწვეული, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ხარჯებს. ასევე, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ისა და პროგრამის ბიუჯეტი;
- უსდ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

**5.1. შიდა ხარისხის შეფასება**

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია, უკვე განხორციელებულ ღონისძიებებზე საუბარი შეუძლებელია, თუმცა ვიზიტის მსვლელობისას ნათელი გახდა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი გამოხატავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობის მზადყოფნას. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ ისინი მუდმივად მზად არიან არიან, პერსონალს სათანადო კონსულტაცია გაუწიონ, გაუზიარონ ის გამოცდილება, ცოდნა, რომელიც შეფასების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში დაეხმარებათ. აღნიშნულს ადასტურებს უსდ-ში უკვე არსებულ საბაკალავრო პროგრამებში ჩართული პერსონალის გამოცდილება.

უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძვნება პრინციპს “დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე”, რაზეც მეტყველებს სასწავლო პროცესთან, ჩართული პირების მუშაობის ხარისხთან დაკავშირებული კვლევების არსებობა. აღნიშნულს, ასევე, მოწმობს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ყოველსემესტრული კმაყოფილების კვლევები, უსდ-ში არსებული სწავლების შედეგების შეფასების პრაქტიკა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორიენტირებულია და მუშაობს სწავლა-სწავლების, კვლევისა და მენეჯმენტის მიმართულებით.

როგორც ვიზიტის მსვლელობისას გაირკვა, უსდ-ის წარმომადგენლები ჩატარებული კვლევის შედეგებს შესაბამისი ცვლილებების განსახორციელებლად იყენებენ.

პროგრამის ხარისხის შეფასების მიზნით წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორები გამოიყენება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს საბაკალავრო პროგრამის მუდმივ მონიტორინგს, ხარისხის შემოწმებას. სამომავლოდ განსაზღვრავს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს და მხოლოდ ამის შემდგომ დაიგეგმება გარკვეული აქტივობები, რაც სუსტი მხარეების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კავკასიის უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა;
- ხარისხის შეფასების მექანიზმი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და უსდ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2. გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა ახალია. მისი განვითარების პროცესში, მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში, გათვალისწინებულ იქნა პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების და დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მოსაზრებები და უკუკავშირი. აგრეთვე, შესწავლილ იქნა ანალოგიური უცხოური პროგრამები და წარმოდგენილ პროგრამაზე მუშაობისას გათვალისწინებულ იქნა საუკეთესო პრაქტიკა. გარდა ამისა, პროგრამის გარე შეფასებაში მონაწილეობა მიიღეს კალიფორნიის შტატის ლიცენზირებულმა ფსიქოლოგმა, კენედისა და ანტიოქიის უნივერსიტეტების პროფესორმა და თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;</li> <li>• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
<p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია, უკვე განხორციელებულ ღონისძიებებზე საუბარი შეუძლებელია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უკვე არსებული პროგრამების რეგულარული შეფასების პრაქტიკის ფონზე, შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ უსდ-ის წარმომადგენლები აქტიურად მიმართავენ პროგრამების პერიოდულ მონიტორინგს, რაშიც მონაწილეობას იღებს მოწვეული და აკადემიური პერსონალი და უსდ-ის ადმინისტრაცია.

ზოგადად, სხვა პროგრამებთან მიმართებაში, უსდ-ის წარმომადგენლები ყოველწლიურად აწყობენ შეხვედრებს და განიხილავენ იმ შესრულებულ, მიმდინარე აქტივობებს, სტატისტიკურ მონაცემებს, შემუშავებულ დოკუმენტებს, რომლებზეც მთელი წლის განმავლობაში მუშაობდნენ, რაც ვიზიტის ფარგლებში გაირკვა. ახალ საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებაშიც იმავე პრაქტიკის დანერგვას აპირებენ.

ახალი საბაკალავრო პროგრამის შექმნასა და დახვეწვაზე იმუშავეს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, პროგრამის ხელმძღვანელმა, სტუდენტური სერვისების მენეჯერებმა. ვიზიტის საფუძველზე გაირკვა, რომ პროგრამის შექმნის პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად იყო ჩართული.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შეაფასეს კალიფორნიის შტატის ლიცენზირებულმა ფსიქოლოგმა, კენედისა და ანტიოქიის უნივერსიტეტების პროფესორმა და თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა.

სწავლების ხარისხის დახვეწის მიზნით, უსდ-ის წარმომადგენლები გეგმავენ აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების კვლევებში აქტიურ ჩართვას. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, ადმინისტრაციასთან ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ მათ შეფასების კითხვარები ყოველსემესტრულად ეგზავნებათ, რომელთა საშუალებითაც შესაძლებლობა აქვთ, შეაფასონ სწავლების ხარისხი, მაგალითად, სტუდენტები აფასებენ თითოეულ სასწავლო კურსს. ასეთივე პრინციპით მუშაობას აპირებენ ახალ საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებაშიც. როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, როდესაც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით უკმაყოფილებას ასახელებენ, უნივერსიტეტი აუცილებლად ითვალისწინებს მათ აზრს.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მუშაობაში ჩართულმა პერსონალმა მოიძია და შეისწავლა ამერიკული, ორი ბრიტანული და თურქული უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამები. წარმოდგენილ პროგრამასთან, შინაარსობრივი თვალსაზრისით, ყველაზე მეტი მსგავსება გამოვლინდა თურქულ და ამერიკულ უნივერსიტეტებში არსებულ ფსიქოლოგიის პროგრამებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ხარისხის შეფასების ანგარიში;
- შედარებითი ანალიზი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა;
- ადმინისტრაციასთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 26

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			


აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლილი ხერუაშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ეკატერინე ფირცხალავა



თინათინ ჯვამაზია

თ. ჯვამაზია